სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის ოცდაშვიდ მარტს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, **კოსტავას ქ. №76-ში**, მომმართა **შპს "თავკვერი"-ს დირექტორმა ხათუნა სიდამონიძემ (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის განაცხადის რეგისტრაციის ნომერია: B12089171, საიდენტიფიკაციო კოდი 211360481 , ამონაწერის მომზადების თარიღია 17/07/2012წ.)** მან მოითხოვა თანხმობის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე **ხათუნა სიდამონიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ხათუნა სიდამონიძემ** (დაბადებული 07.07.1968წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი იპ. ხვიჩიას ქ. №16, ბინა 7, პ/მ №გ 0662199, პირადი №01024053171, გაც. თბილისის საბურთალოს სმრ სამსახურის მიერ 07.04.2005წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე თანხმობა და წავუკითხე განმცხადებელს, მან განაცხადა, რომ თანხმობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. **ხათუნა სიდამონიძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა.

თანხმობა

მე, შპს "თავკვერი"-ს დირექტორი ხათუნა სიდამონიძე (დაბადებული 07.07.1968წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი იპ. ხვიჩიას ქ. №16, ბინა 7, პ/მ №გ 0662199, პირადი №01024053171, გაც. თბილისის საბურთალოს სმრ სამსახურის მიერ 07.04.2005წ.) თანახმა ვარ **შპს "გურმანი VIII"-მ (ს/კ 406082206),** მოახდინოს **შპს "თავკვერი"-ს სახელზე რიცხული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მდებარე ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. №16ა, პარკის ტერიტორია (ს/კ 01.10.15.020.004), კეთილმოწყობა, ფასადის შეცვლა და სხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება.**

რაზედაც ვაწერ ხელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე თანხმობის 2 ეგზემპლიარზე შესრულებული 2 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 0 ლარი 72 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 6 ლარი და 72 თეთრი.

შპს "თავკვერი"-ს დირექტორი

ხათუნა სიდამონიძე _____

ნოტარიუსი _____ **ნანა ბაკურაძე**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130290950
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.03.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანა ბაკურაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	33 18 67
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	25700856717013

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18